საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 15.07.2015, სარეგისტრაციო კოდი: 130000000.05.001.017864) 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. სამსახურში ზოგიერთ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატი სამსახურში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ სამსახურის სასწავლო ცენტრში გადის სპეციალური მომზადების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს. სამსახურის სასწავლო ცენტრში ან სხვა სასწავლო/საგანმანათლებლო დაწესებულებაში პირის მომზადება, გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულის – სპეციალური მომზადების ცენტრის უფლებამონაცვლედ (გარდა ამ ერთეულის გაუქმებამდე წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებებისა (მათ შორის, შრომის ანაზღაურებისა, სხვა საქონლისა და მომსახურებისა)) ჩაითვალოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

2. სათანადო სამართლებრივი აქტების გამოცემამდე/მიღებამდე სპეციალურ პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საქმიანობა შეიძლება დარეგულირდეს აღნიშნული საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი აქტებით.

3. პირებს, რომლებიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეულის – სპეციალური მომზადების ცენტრის სათანადო პროგრამას გადიან, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ შეუნარჩუნდეთ შესაბამისი სტატუსი.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

3 ოქტომბერი 2019 წ.

N5087-Iს